

სკოლის სასწავლო გარემო და მისი გაუმჯობესების გზების ძიება

ზაურ პაპიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (მათემატიკის მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი
ჯგუფის მასწავლებელი (მათემატიკის მასწავლებელი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი -
განათლების მიმართულება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

აბსტრაქტი

ვინც საგანმანათლებლო სისტემაში და კერძოდ სკოლის ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ჩართულია, მან კარგად იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლაში სასწავლო გარემოს და მის ორგანიზებას სასკოლო საზოგადოების წარმატებული საქმიანობისთვის; მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხრივ.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული მრავალი საერთაშორისო კვლევა გვიჩვენებს მოსწავლეთა მნიშვნელოვნად დაბალ აკადემიურ დონეს. ეს იქნება მოსწავლეთა წიგნიერების დონე, მათი მომზადების დონე მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ თუ ჰუმანიტარულ საგნებში, მოსწავლეების მაჩვენებლები საშუალოზე გაცილებით დაბალია. საქართველო ამ მხრივ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს, მაშინ როდესაც დაახლოებით 30 – 35 წლის წინანდელი საერთაშორისო კვლევები რადიკალურად განსხვავებულ სურათს გვაძლევდა. საქართველოს მოსწავლეთა აკადემიური დონე მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იყო. დღეს, სამწუხაროდ, სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა გაუარესებისკენ. ბუნებრივად გვიჩნდება არსებული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევის სურვილი. სწორედ ამ მიზეზების გამოკვლევის მცდელობაა წინამდებარე ნაშრომი. ვფიქრობ, შესაძლოა და იმედი მაქვს ამ მცირე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები, კვლევის შედეგები რაიმე მცირე წვლილს მაინც შეიტენენ საქართველოში მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში და თუ ეს ასე მოხდება დიდად მოხარული ვიქნები.